

## მე-7 კლასი

## I. ენის სამყარო

## 1. შეარჩიეთ მართებული ფორმა:

... , რატომ იგვიანებ ყოველ გაკვეთილზე?!

ა. ჯაბუავ; ბ. ჯაბუა გ. ჯაბუაო; დ. ჯაბუავო

## 2. ჩასვით სწორი ფორმით:

დავით ... მეფობის დროს საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაიჭიმა.

ა. IV- ის; ბ. IV-ეს; გ. IV - ს; დ. მე - IV- ს

## 3. რომელია ზმნის მართებული ფორმა:

ა. ვანხორციელებ; ბ. ავლნიშნე; გ. ვალიარებ; დ. ავლწერე

## 4. შეარჩიეთ სწორი ფორმა:

ა. სვავს; ბ. წვავს; გ. დგავს; დ. აბავს

## II. ტექსტის რედაქტირება

## 5. მოცემული 5 წინადადებიდან რომელ სამ მათგანშია დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომები?

1. სკოლა წისქვილის არხის პირას იდგა, შემადღებულზე.
  2. აქეთ სკოლა იდგა, იქეთ, ხევს გაღმა - ეკლესია.
  3. არხის ქვემოდ ვენახები და ივრის ჭალა იყო.
  4. ივრის ჭალის მერე მოჩანდა გრძლადგაწოლილი უტყეო გორა.
  5. გორაზე ავტომობილები მიმოდიოდენ.
- ა. 2, 3, 4; ბ. 3, 4, 5; გ. 1, 3, 4; დ. 2, 3, 5

## III. სიტყვაკაზმული ქართული

6. განმარტეთ სიტყვათა მყარი შეხამება „თვალში არ მოუვიდა“:

ა. თვალი ეტკინა; ბ. ვერ დაინახა; გ. ვერ გაიაზრა; დ. არ მოეწონა

## 7. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან!“

ა. რიტორიკული შეძახილი; ბ. რიტორიკული მიმართვა; გ. რიტორიკული შეკითხვა; დ. გაპიროვნება

## IV. ლექსიკა

## 8. რომელ წინადადებაში გამოიყენება ანტონიმები?

- ა. „სალაპარაკო რომ გახდები, შენზე მუნჯიც ალაპარაკდება“;
- ბ. „პირველად დავინახე, მაგრამ მივხვდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი“;
- გ. „ცას ვარსკვლავი მოსწყვიტა და გულში შეინახა“;
- დ. „გულმა გულისა იცის, თვალმა-თვალისა, ორივე ერთად იშვიათად შეიყრება“.

## V. წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვრიათკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე და უპასუხეთ შეკითხვებს:

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბლერტაო.

ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სასესია.

მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით - საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობთ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ - ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით - უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისტანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვია.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უზარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმაღზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

„კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჰკუა ცოდნით გაუღესია,

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეტი, მერე იმისთანა მაღლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვია და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო.

## 9. რა უანდერძა ღმერთმა ადამიანს?

ა. ყველაფერი შენ გიბოძეო; ბ. იშრომე, გაისარჯეო; გ. ჩემ მიერ ბოძებული სიმდიდრე შრომით მოიხმარეო; დ. მიწაში ჩადებული სიმდიდრე ამოიღეო.

## 10. რას ნიშნავს, ავტორის აზრით, გამონათქვამი „ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბლერტაო“?

ა. ღმერთს ჩვენი ქვეყანა უყვარს; ბ. ღმერთი ხალხს შრომისკენ მოგვიწოდებს; გ. ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია; დ. ღმერთმა მშვენიერი სამყარო შექმნა

## 11. ილიას აზრით, რატომ არიან ქართველები ღარიბნი?

ა. შრომა ეზარებათ; ბ. მიწის დამუშავება არ ეხერხებათ; გ. მოსავალს ვერ უვლიან; დ. ცოდნა არ აქვთ

**12. ცოდნას, პირველ რიგში, რა სჭირდება?**

ა. ცოდნას გაღრმავება სჭირდება; ბ. ცოდნას ხერხი, გამოყენება სჭირდება; გ. ცოდნა თვითონ განძია; დ. ცოდნას აღარაფერი სჭირდება

**13. რისთვის არის საჭირო ხერხის, ოსტატობის გამოყენება?**

ა. ღვთისაგან შენთვის მიბარებული უფრო ადვილად და ბლომად ამოიღო. ბ. უფრო ჭკვიანურად მოიქცე; გ. მიწის დამუშავება ისწავლო; დ. შრომას მიეჩვიო

**14. რომელი შესიტყვებით ახასიათებს ავტორი ცოდნას?**

ა. „ხერხი“; ბ. „ოსტატობა“; გ. „ღვთისნიერი წინამძღოლი“; დ. „სიმდიდრე“

**15. რომელ ანდაზას გაიხსენებს ავტორი ცოდნის გამომყენებელ კაცზე?**

ა. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“; ბ. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“; გ. „ემსახურე სიმართლესო, არ დაგილევეს სინათლესო“; დ. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“

**16. ვის უნდა მოახმაროს, ილის აზრით, კაცმა ცოდნა?**

ა. მხილოდ საკუთარ თავს; ბ. როგორც საკუთარ თავს, ისე - სხვას; გ. მხოლოდ სხვას; დ. მთელ ქვეყანას